მარიამი კახიძე[1]

ქალთა მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის დანაშაულები საერთაშორისო კონფლიქტის დროს

„ციანიდის გარეშე ჩვენ არ მივდივართ ომში. ვწუხვარ, როცა ვფიქრობ იმაზე, რაც დამემართა. ციანიდი მქონდა, არ გამომიყენებია და როცა დავბრუნდები სიკვდილი მომიწევს.“

ჯარისკაცი გოგონა შრი-ლანკიდან (Keairns 2002)[2]

აბსტრაქტი

ისტორიის განმავლობაში ომებს თან ახლდა განსაკუთრებული სისასტიკე, რაც თანამედროვე სამართლებრივი პერსპექტივიდან უნდა განიხილებოდეს, როგორც ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევა. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი შეიარაღებული კონფლიქტი გავლენას ახდენს საზოგადოების ყველა წევრზე, განურჩევლად მათი სქესის, ასაკის, კანის ფერის, ეროვნებისა თუ ეთნიკური წარმომავლობისა, ქალები იყვნენ და არიან განსაკუთრებით დაუცველები ომის დროს. კონფლიქტის დროს ქალთა უფლებების დარღვევა კვლავ აქტუალური პრობლემაა. ამას ადასტურებს უკრაინაში მიმდინარე მოვლენები, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ომის სისასტიკე განსაკუთრებით აისახება გოგოებსა და ქალებზე.

ნაშრომში შედარებით-სამართლებრივი მეთოდის საფუძველზე განხილულია ქალთა მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის დანაშაულები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, საერთაშორისო სისხლის სამართლის და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ჭრილში. ამასთან, გაანალიზებულია ის სამართლებრივი გამოწვევები, რაც ამ დანაშაულების განხილვის დროს წარმოიშობა და შემოთავაზებულია გარკვეული რეკომენდაციები.

---

[1] თსუ იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტი, ელ. ფოსტა: Mariami.Kakhidze7684@law.tsu.edu.ge.

[2] K.A., Rajivan, R. Senarathne, *Women in armed conflicts: Inclusion and exclusion*, Asia-Pacific Human Development Report Background Papers Series 2010/11, UNDP, გვ. 4

ნაშრომი სხვა წყაროებთან ერთად ეფუძნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესაბამის პრაქტიკას, ასევე მეცნიერთა მოსაზრებებს, კრიტიკასა და შენიშვნებს.

საკვანძო სიტყვები: *შეიარაღებული კონფლიქტები, ქალთა უფლებები, მშვიდობიანი მოსახლეობა.*

Abstract

Throughout history, wars have been accompanied by exceptional cruelty, which from a modern legal perspective should be considered a mass violation of human rights. Although armed conflicts affect all members of society, regardless of gender, race, color, sex, origin, ethnicity, language, or religion, women were and are particularly vulnerable during the war. Violations of women's rights during conflict are still an urgent problem. This was once again demonstrated by the recent events in Ukraine, from which it is clear that the brutality of war particularly affects girls and women.

Based on the comparative method, the paper describes the assessment of sexual crimes committed against women in the light of international humanitarian law, international criminal law, and international human rights law. In addition, it analyzes the legal challenges that arise during the examination of these crimes and offers some recommendations for the future.

The paper, among other sources, is based on the relevant practice of the International Court of Human Rights and the International Criminal Court, as well as the opinions, criticism, and comments of scholars.

Keywords: *Armed conflicts, women's rights, civilians.*

შესავალი

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ომისა და მშვიდობის კვლევების კუთხით მომუშავე მკვლევრები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ კონფლიქტების გენდერულ ასპექტებს და ხაზს უსვამენ არა მხოლოდ ქალების როლს სამშვიდობო ოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში, არამედ მათ გავლენას, შექმნან საზოგადოებრივი ცვლილებებისთვის საჭირო ახალი პლატფორმები პოსტ-კონფლიქტურ საზოგადოებებში. როგორც ფემინისტურ, ასევე ომისა და მშვიდობის კვლევებში, გენდერისა და კონფლიქტების ურთიერთმიმართება განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა ქალთა მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის დანაშაულები საერთაშორისო კონფლიქტების და პოსტ-კონფლიქტური სიტუაციების დროს. ამ საკითხის აქტუალობა კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოჩნდა რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომისას. ქალთა უფლებების საკითხი ხშირად ყურადღების მიღმა რჩება შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობისას თუ მისი დასრულების შემდგომ, რადგან მთავარი აქცენტები სამხედრო, პოლიტიკურ თუ ტერიტორიულ უპირატესობებზე კეთდება.

ნაშრომი გამოირჩევა იმით, რომ მასში განხილულია კონფლიქტების მიმდინარეობის დროს და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში ქალთა კონკრეტული უფლებების დაცვის საერთაშორისო რეგულირების საკითხები, საერთაშორისო ჰუმანიტარული, სისხლის სამართლის და ადამიანის უფლებათა სამართლის ასპექტები, ასევე გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციები, სისხლის სამართლის ტრიბუნალების და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. გარდა ამისა, ნაშრომში ახსნილია ის ასპექტები, რომლებიც ქალთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებს განასხვავებს მამაკაცთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისგან.

ნაშრომის მიზანია, გენდერისა და კონფლიქტების ურთიერთმიმართების თაობაზე აკადემიური დისკუსიების გამრავალფეროვნებისთვის ხელის შეწყობა.

1. ქალთა უფლებები შეიარაღებულ კონფლიქტში

ერაყის პოსტკონფლიქტური სიტუაციის, ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიის გახანგრძლივებული კონფლიქტის და იემენის ღია კონფლიქტის მაგალითების ანალიზის შედეგად ნათელია, თუ რა უარყოფითი გავლენა აქვს შეიარაღებულ ძალადობასა და ოკუპაციას ქალებსა და გოგოებზე.[3]

გარდა იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობის მაჩვენებლი ისედაც მაღალია, შეიარაღებული კონფლიქტი იწვევს ან კიდევ უფრო ზრდის ძალადობის ისეთი შემთხვევების რაოდენობას, როგორიცაა: მკვლელობა, წამება, სექსუალური ძალადობა, იძულებითი ქორწინება, სექსუალური შევიწროება და ოჯახური ძალადობა. ზოგჯერ, როგორც ომის ტაქტიკის ნაწილი, ქალები და გოგოები

[3] Seyler M, Rape in conflict: Battling the impunity that stifles its recognition As A Jus Cogens human right, 15 Gonz J. Int'l L, 1, 2011-2012, გვ. 66-86; Amnesty International, Stop violence against women: Justice for 'comfort women', 2016, April, ხელმისაწვდომია: http://www.amnesty.org.nz/files/Comfort-Women-factsheet.pdf

ხდებიან სექსუალური ძალადობის სამიზნე.[4] ამასთანავე, პოსტკონფლიქტურ საზოგადოებებში, კანონის უზენაესობის და სამართლიანი სასამართლოს უფლების უგულებელყოფის, იარაღის ხელმისაწვდომობის, სოციალური და ოჯახური სტრუქტურების რღვევისა და გენდერული ძალადობის „ნორმალიზების" გამო, იმატებს გენდერული დისკრიმინაციის და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები[5]

კონფლიქტის დროს და მისი დასრულების შემდეგ მწვავდება ტრეფიკინგის საკითხიც პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურების რღვევის, ძალადობის გამოვლენის მაღლი მაჩვენებლის და გაზრდილი მილიტარიზმის გამო.[6] კონფლიქტიდან გამომდინარე, მოსახლეობისთვის აუცილებელი სერვისების შეზღუდულ მიწოდებას შეიძლება ჰქონდეს არაპროპორციული ზეგავლენა მოსახლეობის კონკრეტულ ჯგუფებზე, მათ შორის ქალებსა და გოგოებზე.[7]

გოგოებს შეიძლება შეექმნათ დამატებითი დაბრკოლებები განათლების მიღებისას. ეს ბარიერები გამოწვეულია მიზანმიმართული თავდასხმებით, მათ წინააღმდეგ განხორციელებული მუქარის შიშითა და დამატებითი საყოფაცხოვრებო პასუხისმგებლობებით. შეირაღებული კონფლიქტისას ქალები იძულებულნი არიან ეძებონ საარსებო პირობების ალტერნატიული წყაროები და აიღონ მრავალი პასუხისმგებლობა, რადგან ხშირად, ოჯახის გადარჩენა მათზე არის დამოკიდებული. განსაკუთრებით პრობლემური ხდება ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხები ქალთა ინტერესების გათვალისწინებით. ინფრასტრუქტურის დაგეგმარებასა და მოწყობაში ქალთა საჭიროებების, გენდერული ელემენტების და საფრთხეების მხედველობაში მიღება ხშირად მშვიდობის დროსაც ყურადღების მიღმა რჩება. კონფლიქტის დროს კი, განსაკუთრებით ურბანული ომის წარმოების შემთხვევებში, გარემოსთვის მიყენებული ზიანი ზოგჯერ პროპორციულობის პრინციპსაც კი არღვევს და ქალებს დამატებითი პრობლემები ექმნებათ, მაგალითად, ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილ, დაზიანებულ გზებსა და განადგურებულ

[4] Final Report of the Special Rapporteur on the Situation of Systematic Rape, Sexual Slavery and Slaverylike Practices During Periods of Armed Conflict, 50 UN ESCOR, UN Doc. E/CN./4/Sub.2/1998/13 (1998), and Update to the Final Report of the Special Rapporteur on the Situation of Systematic Rape, Sexual Slavery and Slavery-like Practices During Periods of Armed Conflict, 52 UN ESCOR, UN Doc. E/CN.4/Sub.2/2000/21/(2000); Special Rapporteur on Violence Against Women, its Causes and Consequences, 54 UN ESCOR, UN Doc. E/CN.4/1998/54/(1998).

[5] Draper G.I.A.D., *The Historical perspective of the status of women in the armed forces* , Military Law & Law of War Review, 26, 1987

[6] Rajivan A.K., R. Senarathne, *Women in armed conflicts: Inclusion and exclusion*, Asia-Pacific Human Development Report Background Papers Series 2010/11,, UNDP

[7] Gardam J., Jarvis M., *Women, armed conflict and international law*, The Hague Kluwer Law International, The Haague, 2001, გვ. 10-25

ლოკაციებზე გადაადგილება, რაც მეტ საშუალებას აძლევს მოძალადეებს, დაუბრკოლებლად განახორციელონ ქალთა შევიწროება ან ჩაიდინონ სხვა სახის ძალადობრივი დანაშაულები.[8]

ხელმისაწვდომობა აუცილებელ სერვისებზე, როგორიცაა ჯანდაცვა, მათ შორის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისები, შეიძლება შეფერხდეს, რადგან კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის შედეგად ქალები და გოგოები არიან დაუგეგმავი ორსულობის, დედათა სიკვდილიანობისა და ავადობის, მძიმე სქესობრივი და რეპროდუქციული დაზიანებების და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების რისკის ქვეშ.[9] მრავალი პრობლემიდან, რაც ქალებსა და გოგოებს კონფლიქტის დროს თუ მისი დასრულების შემდგომ წარმოეშვებათ, რამდენიმე მათგანი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იმსახურებს.[10]

ომის დროს ქალების სექსუალური ექსპლუატაციის მასიური და სახელმწიფოს მიერ წახალისებული შემთხვევების ერთ-ერთი ყველაზე შემაძრწუნებელი მაგალითი იაპონიის მიერ გამოყენებული ე.წ. „comfort women“ შემთხვევა იყო.[11] ამ ქალების უმრავლესობა ომს ვერ გადაურჩა, ხოლო ვინც გადარჩა, მუდმივი და ღრმა ფიზიკური თუ ფსიქიკური დაზიანებები მიიღო. წლების განმავლობაში იაპონია ამ ფაქტს უარყოფდა. საბოლოოდ, 2015 წელს იაპონიის მთავრობამ ბოდიში მოიხადა, აღიარა იაპონიის პასუხისმგებლობა და განსაზღვრა 8.3 მილიონი ზიანის ასანაზღაურებლად დაზარალებულებისთვის, რომელთაგან 46 ჯერ კიდევ ცოცხალია.[12]

---

[8] CEDAW Committee, General recommendation No 30 on women in conflict prevention, conflict and post-conflict situations, UN Doc No CEDAW/C/GC/30, 2013

[9] Wood E.J., *Rape is not inevitable in war Yale Journal of International Affairs*, Understanding and Proving International Sex Crimes, Torkel Opsahl Academic Epublisher, Oslo, 2012, 5

[10] Brownmiller S., *Against Our Will: Men, Women and Rape*, 1975; T. Meron, 'Shakespear's Henry the Fifth and the Law of War', 86 Am. J. Int'l L. 1 (1992); See also, Treaty of Amity and Commerce, US-Prussia, 10 Sept. 1785, reprinted in 2 Treaties, Conventions, Acts, Protocols and Agreements between the United States and other Powers, 1776-1909, Malloy Collections, 1910

[11] Seyler M, *Rape in conflict: Battling the impunity that stifles its recognition As A Jus Cogens human right*, 15 Gonz J. Int'l L, 1, 2011-2012, გვ. 66-86; Amnesty International, Stop violence against women: Justice for 'comfort women', 2016, April, ხელმისაწვდომია: http://www.amnesty.org.nz/files/Comfort-Women-factsheet.pdf, ბოლოს ნანახია: 14:12:2022

[12] Olwine B. A., *One step forward, but two steps back: Why Gacaca In Rwanda Is Jeopardizing*, The Good Effect of Akayesu On Women's Rights, William and Mary Journal of Race, Gender, and Social Justice, Volume 17 (2010-2011), Issue 3 William and Mary Journal of Women and Law, 2011, გვ. 639–663.

დღევანდელი ომის სისასტიკეს ადასტურებს ის ფაქტებიც, რომ ზოგჯერ არა მხოლოდ კონფლიქტის მხარეები, არამედ გაეროს სამშვიდობო ძალების წევრებიც ახორციელებდნენ ქალებზე სექსუალურ ძალადობას.[13]

1.1. ქალები, როგორც მშვიდობიანი მოსახლეობის წარმომადგენლები

მიუხედავად იმისა, რომ ქალები სულ უფრო ხშირად მონაწილეობენ ომში კომბატანტების როლით, მათი უმრავლესობა წარმოადგენს მშვიდობიან მოქალაქეებს, რომლებზეც ომი განსაკუთრებულად მძიმე შედეგებს ტოვებს. ომის დროს ქალების მდგომარეობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სოციალური, კულტურული და ეკონომიკური პირობები, რომლებშიც ქალები ომამდე ცხოვრობდნენ.

მშვიდობიანი მოსახლეობის წარმომადგენელი ქალები ხშირად განიცდიან ისეთი სახის ძალადობას და ზეწოლას[14], როგორიცაა: განზრახ მკვლელობა, წამება, სამედიცინო ექსპერიმენტები, ტრეფიკინგი, გაუპატიურება, იძულებითი პროსტიტუცია, იძულებითი თანაცხოვრება ან ქორწინება, იძულებითი ორსულობა, დაავადებებით განზრახ ინფიცირება, იძულებითი აბორტი, იძულებითი სტერილიზაცია.[15] ომის დროს ქალებისთვის რთულია უსაფრთხო ადგილის პოვნა, რათა თავი დაიცვან ძალადობისგან. ქალები ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი არა მხოლოდ კონფლიქტის დროს, არამედ კონფლიქტის დასრულების შემდეგ, ასევე ოკუპაციის პერიოდში. ისინი ძალადობის სამიზნე ხდებიან პოლიციის განყოფილებებში, დაკავებისას, საზღვრის გადაკვეთისას, ლტოლვილთა ბანაკებში, სახლებში ან სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით შექმნილ დაკავების იზოლატორებში.[16]

დღევანდელი ომის სისასტიკის ერთ-ერთი ილუსტრაცია არის შეიარაღებული კონფლიქტი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში (CAR). 2014 წლის კონფლიქტთან დაკავშირებული სქესობრივი ძალადობის შესახებ უშიშროების საბჭოსთვის წარდგენილ გენერალური მდივნის მოხსენებაში წერია, რომ სექსუალური

---

[13] Child Rights International Network, Timeline of Un Peacekeeper Sexual Abuse Cases, ხელმისაწვდომია: https://www.crin.org/en/home/campaigns/transparency/timeline-un-peacekeeper-sexual-abuse-cases, ბოლოს ნანახია: 14:12:2022

[14] Gardam J, *Women and the law of armed conflicts: Why the silence?,* International & Comparative. Law Quarterly, 46, 1997, გვ. 55-80

[15] Alawemo O., Muterera J., *The impact of armed conflict On women: Perspectives from Nigerian women,* OIDA International Journal of Sustainable Development, 2 (5), 2010, გვ. 81-86

[16] CEDAW Committee General recommendation No 30 on women in conflict prevention, conflict and post-conflict situations UN Doc No CEDAW/C/GC/30, 2013

ძალადობის შემთხვევები საგანგაშო სისწრაფით ხდებოდა საომარი მოქმედებების დროს და უშუალოდ მის შემდგომ. ზოგიერთ მსხვერპლზე თავდასხმა ხდებოდა საკუთარ სახლში, კარდაკარ ჩხრეკის დროს, რაც ხორციელდებოდა ოპონენტების დასაძლევად და დასამცირებლა, მშვიდობიანი მოსახლეობის დაშინების და ტერორის განხორციელების მიზნით.[17] რაც უფრო შემაშფოთებელია, დადგინდა, რომ არა მხოლოდ კონფლიქტის მხარეები, არამედ გაეროს სამშვიდობო ძალების წევრებიც ახორციელებდნენ სექსუალურ ძალადობას.[18] შემდგომმა გამოძიებამ დაადგინა, რომ იგივე ხასიათის ქმედებებს ჰქონდა ადგილი გაეროს ოპერაციების დროს კოტ დივუარში, ჰაიტიში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ლიბერიაში და სამხრეთ სუდანში.[19] სამწუხაროდ, ეს ფაქტები ადასტურებს მოსაზრებას, რომ მსხვერპლთა მდგომარეობა ხშირად უიმედოა, რადგან ისინი, ვისაც ძალადობისგან უნდა დაეცვა ქალები, თავად გახდნენ მჩაგვრელები.

ტერორისტული ჯგუფების ქმედებები შედარებით ახალ საფრთხედ იქცა სამოქალაქო მოსახლეობის წარმომადგენელი ქალების უსაფრთხოებისთვის საომარი მოქმედებების და შიდა კონფლიქტების დროს. ერაყსა და სირიაში კონფლიქტის დროს Daesh-ის ტერორისტებმა გააუპატიურეს და გაიტაცეს ათასობით ქალი. გარდა ამისა, ხშირია იეზიდი ქალების ფულზე გაყიდვის, იარაღზე გაცვლის ან გაჩუქების ფაქტები. იმ ქალებსა და გოგოებს, რომლებიც ისლამს მიიღებენ, დაეშის მებრძოლებზე 25-150 დოლარად ყიდიან, ვინც არ მიიღებს- სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დაეშმა გაუპატიურება და მონობა თავისი თეოლოგიის ნაწილად აქცია, და აღნიშნულ ქმედებას განიხილავს,

[17] Conflict-related sexual violence Report of the Secretary-General to the Security Council, 2014, March13, UN Doc No. S/2014/181; Conflict-related sexual violence Report of the Secretary-General to he Security Council, 2015, March 23, UN Doc No. S/2015/203.

[18] Child Rights International Network, Timeline of Un Peacekeeper Sexual Abuse Cases, ხელმისაწვდომია: https://www.crin.org/en/home/campaigns/transparency/timeline-un-peacekeeper-sexual-abuse-cases

[19] Special measures for protection from sexual exploitation and sexual abuse, Report of the Secretary-General, 2016, February 16, UN Doc. No. A/70/729; K. Sieff, The growing U.N. scandal over sex abuse and 'peacekeepers babies', The Washington Post, 2016 February 27, ხელმისაწვდომია: http://www.washingtonpost.com/sf/world/2016/02/27/peacekeepers/

როგორც ისლამის მიღების საშუალებას.[20] შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ ამ სისასტიკეს გენოციდი უწოდა.[21]

1.2. ქალები, როგორც შეიარაღებული ძალების წევრები

ქალები და გოგოები, მამაკაცებთან და ბიჭებთან ერთად, ხშირად ხდებიან როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო შეიარაღებული ჯარების წევრები.

მიუხედავად ქალთა მნიშვნელოვანი როლისა პაციფიზმის განვითარების ისტორიაში, არსებობს უამრავი მაგალითი იმისა, რომ ქალები ენთუზიაზმით ერთვებიან აჯანყებებში, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლებსა და ომებში. მაგალითად, ქალები იყვნენ აქტიური მონაწილეები ინდოეთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ბრიტანელების წინააღმდეგ, ასევე მონაწილეობდნენ ნეპალის მაოისტურ მოძრაობაში, იყვნენ მოხალისეები ერაყის არმიაში, ტიმორ-ლესტეს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში და შრი-ლანკას განგრძობად კონფლიქტში ტამილში. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, შეიარაღებულ კონფლიქტებში მებრძოლ ქალთა რაოდენობა მერყეობს შეიარაღებული ძალების ერთი მესამედიდან ერთ მეათედამდე.[22]

გარდა ამისა, არასახელმწიფო შეიარაღებული ძალები ქალებს ფართო ასპარეზს აძლევს როგორც საომარ მოქმედებებში სრულად ჩართვის კუთხით, ასევე ანაზღაურების და მკაცრი შეზღუდვების არარსებობის გამო. ქალთა ნაწილი იძულებით არის ჩართული საბრძოლო მოქმედებებში, ზოგიერთი მათგანი სიღარიბისგან, ოჯახური ძალადობისგან, იძულებითი ქორწინებისგან თავის დასაღწევად ან საკუთარ ცხოვრებაზე ავტონომიის მოსაპოვებლად მიდის საბრძოლველად. განსაკუთრებით მძიმეა ქალი კომბატანტების მდგომარეობა მას შემდეგ, რაც მათ მოწინააღმდეგე მხარე ტყვედ აიყვანს. ქალები და გოგოები აწყდებიან სპეციფიურ, დამატებით დაბრკოლებებს კონფლიქტის დროს და მისი დასრულების შემდეგ. ზოგჯერ, პასუხისმგებელი პირები თავიანთი უფლებამოსილების გადამეტებით არღვევენ მათ უფლებებს. ამასთანავე, არასახელმწიფოებრივ შეიარაღებულ ძალებში მონაწილეობისას ხშირია ძალადობის

---

[20] Shubert A., Naik B., *ISIS soldiers told to rape women 'to make them Muslim'*, CNN Report, 2015, October 8, ხელმისაწვდომია: http://edition.cnn.com/2015/10/08/middleeast/isis-rape-theology-soldiers-rape-women-to-make-them-muslim , ბოლოს ნანახია: 17/12/2022

[21] Rosenberg M., *Citing Atrocities, John Kerry Calls Isis Actions Genocide*, The New York Times, 2016, March 17, ხელმისაწვდომია: http://www.nytimes.com/2016/03/18/world/middleeast/citing-atrocities-john-kerry-calls-isis-actions-genocide.html?r=0 , ბოლოს ნანახია: 17/12/2022

[22] K.A., Rajivan, R. Senarathne, *Women in armed conflicts: Inclusion and exclusion*, Asia-Pacific Human Development Report Background Papers Series 2010/11, UNDP, გვ. 4

შემთხვევები. ქალი მებრძოლები განიცდიან ინტენსიურ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ წნეხს, რაც შემდეგ საჭიროებს განსაკუთრებულ, მსხვერპლზე ორიენტირებულ მიდგომას და რეაბილიტაციას. ომის შემდგომ, როდესაც აქცენტები კეთდება სამხედრო, ტერიტორიული თუ სხვა სახის უპირატესობების შენარჩუნებასა თუ პოლიტიკური მიზნების განხორციელებაზე, ხშირად სათანადო ყურადღების მიღმა რჩება ქალთა განსაკუთრებული საჭიროებები და მათი სარეაბილიტაციო პროგრამები.[23]

2. კონფლიქტში მონაწილე ქალები და საერთაშორისო კანონმდებლობა

2.1. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი

ძალადობის დანაშაულების კოდიფიკაცია, მათ შორის ომის დროს გაუპატიურების შემთხვევების რეგულირება, განვითარდა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში.[24] 1863 წლის ლიბერის კოდექსი ეყრდნობოდა საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს და 44-ე მუხლით კრძალავდა „ყველა სახის გაუპატიურებას“. 47-ე მუხლი აწესებდა, რომ „დანაშაულები ... როგორიცაა ... გაუპატიურება ... ისჯება“.[25] 1899 წლის ივლისის ჰააგის კონვენციის II დანართის I მუხლი და 1907 წლის IV ჰააგის კონვენციის I მუხლი „კონფლიქტში ჩართულ ქვეყნებს სამხედრო ოპერაციების ომის კანონების და ჩვეულებების შესაბამისად განხორციელებისკენ მოუწოდება. აღნიშნული კი, *sub silencio*, კრძალავდა ომის დანაშაულებს, მათ შორის გაუპატიურებას“.[26]1907 წლის ჰააგის IV კონვენციის 46-ე მუხლის მიხედვით, სამხედრო ოკუპაციის პერიოდში „ოჯახის ღირსებას ... პატივი უნდა სცენ“.[27] პირველი მსოფლიო ომის შემდგომ, 1929 წლის ჟენევის კონვენციის შემქმნელებმა მე-3 მუხლში

---

[23] იქვე., გვ. 6-8

[24] Dworkin A., *"Military Necessity and Due Process: The Place of Human Rights in the War on Terror." In New Wars, New Laws?*, edited by David Wippman and Matthew Evangelista, Ardsley, NY: Transnational, 2004, 53-73;

[25] General Order 100, Instructions for the Government of the Armies of the United States by the Field by Order of the Secretary of War, 24 April 1863 ("the Lieber Code"), Articles 44 and 47

[26] Convention Respecting the Laws and Customs of War on Land, and Annex to the Convention, Regulations Respecting the Laws and Customs of War on Land (Hague IV), The Hague, 18 October 1907, 3 Martens (3rd) 461, 36 Stat. 2277, T.S. No. 59 (Hague Convention IV), reprinted in AM. J. Int'l. 90 51908, Supp. (The IV Hague Convention of 1907).

[27] Convention Respecting the Laws and Customs of War on Land, and Annex to the Convention, Regulations Respecting the Laws and Customs of War on Land (Hague IV), The Hague, 18 October 1907, 3 Martens (3rd) 461, 36 Stat. 2277, T.S. No. 59 (Hague Convention IV), reprinted in AM. J. Int'l. 90 51908, Supp. (The IV Hague Convention of 1907).

ჩამოაყალიბეს, რომ „ომის ტყვეებს უფლება აქვთ მათი პიროვნება და ღირსება დაცული იყოს. ქალებს პატივისცემით უნდა მოეპყრონ მათი სქესიდან გამომდინარე“.[28]

ჟენევის I კონვენციის მე-12 მუხლი ადგენს ქალისა და მამაკაცის თანაბარი მოპყრობის წესს. ამასთან, იგი მიუთითებს, რომ ქალებს უნდა მოეპყრონ „გენდერული ნიშნის გათვალისწინებით“. ანალოგიურად, სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ ჟენევის III კონვენცია ითვალისწინებს ქალებისა და მამაკაცების თანაბარ მოპყრობას და უზრუნველყოფს ქალების მოპყრობას „მათი გენდერული ნიშნის ყველა ფაქტორის გათვალისწინებით“ (მუხ. 14, 88, 97). გაუპატიურების ცალსახა აკრძალვას ჟენევის მეოთხე კონვენციის 27-ე მუხლი ადგენს, რომლის მიზანია მტრის ოკუპაციის ქვეშ მყოფი მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა. აღნიშნული მუხლი მიუთითებს ომის დროს, ქალების მომეტებული დაცვის საჭიროებაზე. 27-ე მუხლში განსაკუთრებული აქცენტია გაკეთებული გაუპატიურების, იძულებითი პროსტიტუციის და უხამსი შეურაცხყოფის შემთხვევებზე[29]. კონვენცია ასევე განსაზღვრავს დედების სპეციფიკურ დაცვას[30].

ჟენევის პირველი და მეორე კონვენციების საერთო მე-12 მუხლი და ჟენევის მესამე კონვენციის მე-14 მუხლი, ასახავს 1929 წლის ჟენევის კონვენციის მე-3 მუხლის აკრძალვას და მიუთითებს, რომ „ ქალებს უნდა მოეპყრონ პატივისცემით მათი სქესის გათვალისწინებით“. რაც მთავარია, ჟენევის საერთო კონვენციების მე-3 მუხლი არეგულირებს არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტს და გამოიყენებს ფრაზას „პიროვნული ღირსების შეურაცხყოფა, განსაკუთრებით არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა“. ეს ჩანაწერი მიზანმიმართულად იყო შემუშავებული მოქნილი ფორმულირებით, რათა მოეცვა მომავალი ქმედებები.[31]

1992 წლის დეკემბერში, ჟენევის კონვენციების დამატებითი ოქმების რატიფიცირების შემდეგ, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა შეიმუშავა დამხმარე განმარტებები, რათა განემარტა 1949 წლის ჟენევის კონვენციებით გათვალისწინებული გაუპატიურების აკრძალვა. მასში ნაწილობრივ ნათქვამია, რომ ჟენევის მეოთხე კონვენციის 147-ე მუხლში ჩამოთვლილი მძიმე დარღვევები,

[28] Article 3 of the 1929 Geneva Convention Relating to Prisoners of War; the Victorian language of Article 3 permeated several legal instruments, but did not occult the intent of the drafters to condemn sexual violence, including rape

[29] მუხლი 27.

[30] მუხლი 14, მუხლი 16, მუხლი 23, მუხლი 27, მუხლი 38, მუხლი 50, მუხლი 76.

[31] Sellers P. V., *The Prosecution of Sexual Violence in conflict: The Importance of Human Rights as Means of Interpretation*, OHCHR, 2008, გვ. 9

სხეულის ან ჯანმრთელობისთვის სერიოზული ზიანის ან განსაკუთრებული ტანჯვის მიყენება, „ცხადია, მოიცავს არა მხოლოდ გაუპატიურებას, არამედ ქალის ღირსების ნებისმიერი სხვა სახით შელახვას“. ეს ინტერპრეტაცია გარკვეულწილად უფრო ნათელს ხდის 147-ე მუხლით ჩამოთვლილი აკრძალვების სამართლებრივ მასშტაბს და დაცულ სფეროს.[32]

1977 წლის დამატებითმა ოქმებმა შეავსეს 1949 წლის პირველი, მეორე და მესამე კონვენციების საერთო მე-3 მუხლის მინიმალური სტანდარტები. შედეგად, გაუპატიურების მკაფიო აკრძალვა სანქცირებულია როგორც საერთაშორისო, ისე არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში.[33]

მიუხედავად ჟენევის კონვენციების როლისა ქალთა უფლებების დაცვის სფეროში, ზოგიერთი მკვლევარი სკეპტიკურად უყურებს გარკვეულ ჩანაწერს და მიუთითებს, რომ ქალების მიმართ ძალადობა, კონვენციების მიხედვით განიხილება, როგორც ქალის „პატივისთვის“ მიყენებული ზიანი მისი სოციალური მნიშვნელობით და არა ქალის ღირსებისთვის მიყენებული ზიანი ადამიანის უფლებების და არსებითი მნიშვნელობის გაგებით.[34] ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ჟენევის IV კონვენციის გამოყენება გარკვეულწილად შეზღუდულია „დაცული პირების“ ცნებით. „დაცულ პირებად“ მოიაზრებიან კონფლიქტის მონაწილე მხარის ან ოკუპანტი სახელმწიფოს ხელში მოხვედრილი პირები, რომლებიც არ ფლობენ ამ სახელმწიფოს მოქალაქეობას[35]. ეს ნიშნავს, რომ ნეიტრალური სახელმწიფოს მოქალაქეები, თანამებრძოლი სახელმწიფოს მოქალაქეები და პირები, რომლებსაც ისეთი სახელმწიფოს მოქალაქეობა აქვთ, რომელიც კონვენციის ხელშემკვრელ მხარეს არ წარმოადგენს, ვერ მიიღებენ კონვენციით გათვალისწინებულ დაცვას.[36]

---

[32] International Committee of the Red Cross, Aide-memoire, December 1992, para. 2.

[33] Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and Relating to the Protection of Victims of International Armed Conflict, done 8 June 1977, 1125 U.N.T.S. 3, entered into force 7 December 1978 (Additional Protocol I), reprinted in 16 I.L.M.1391 (1977); Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and Relating to the Protection of Victims of Non-International Armed Conflicts, done 8 June 1977, 1125 U.N.T.S. 609, entered into force 7 December 1978 (Additional Protocol II), reprinted in 16 I.L.M.182 (1977).

[34] Moodrick-Even Khen H., Hagay-Frey A., *Silence at the Nuremberg Trials: The International military tribunal at Nuremberg and sexual crimes against women in the Holocaust,* Women's Rights Law Reporter Vol. 35, Fall 2013, გვ. 43-66

[35] ჟენევის IV კონვენცია, 1949, მუხლი 4.

[36] Gardam J., Jarvis M., *Women, armed conflict and international law*, The Hague Kluwer Law International, The Haague, 2001, გვ. 60

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის[37] განვითარების ადრეულ პერიოდში სექსუალური ძალადობის ნორმატიული *de jure* სამართლებრივი აკრძალვის მიუხედავად, *de facto* სიტუაცია ადასტურებს სექსუალური ძალადობის შემთხვევების აკრძალვის სრულ უგულებელყოფას.

აღსანიშნავია, რომ IHL-ის პრინციპები ქალებსა და გოგოებს იცავს არა მხოლოდ სექსუალური ან სხვა სახის ძალადობისგან, არამედ უზრუნველყოფს იძულებითი გადაადგილებისას მათ დაცვას, გადაადგილების თავისუფლებას, შესაფერისი ჯანდაცვის და სოციალური მომსახურებებით სარგებლობას, საკვებით და სათანადო საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფას და ა.შ.

2.2. საერთაშორისო სისხლის სამართალი

1990-იან წლებში და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში შექმნილი სპეციალური მანდატის მქონე საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოებისა და ტრიბუნალების სტატუტები, დეკლარაციები, რეზოლუციები, მოხსენებები[38] სქესობრივი ძალადობის დანაშაულებს, მიიჩნევს IHL-ისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის დარღვევად.

ICTY[39]-ის წესდების მე-5 (ზ) მუხლი გაუპატიურებას განსაზღვრავს, როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს;

ICTR[40]-ის წესდების მე-3 (ზ) მუხლი გაუპატიურებას ასახელებს ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად, ხოლო მე-4 მუხლი გაუპატიურებას, იძულებით პროსტიტუციას და ნებისმიერი სახის უხამს ქმედებას მიიჩნევს 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლის და მეორე დამატებითი ოქმის სერიოზულ დარღვევად;

SPSC[41]-ის მე-6(1)(b)(xxii) და მე-6(1)(e)(vi) ნაწილები გაუპატიურებას, სექსუალურ დამონებას, იძულებით პროსტიტუციას, იძულებით ორსულობას, იძულებით

[37] შემდგომში: IHL

[38] მაგ. იუგოსლავიის ტრიბუნალის ჩამოყალიბების განხილვების დროს, უშიშროების საბჭოს 1993 წლის 17 აპრილის 820-ე რეზოლუციაში ჩაიწერა, რომ: „[A]ll violations of international humanitarian law, including in particular, the practise of " ethnic cleansing" and the massive, organized and systematic detention and rape of women, and reaffirms that those who committed or who have committed or order or ordered the commission of such acts will be held individually responsible in respect of such acts."

[39] The International Criminal Tribunal for the former Yugoslavia

[40] The International Criminal Tribunal for Rwanda

[41] Special Panels for Serious Crime Panels in East Timor

სტერილიზაციას ან სექსუალური ძალადობის ნებისმიერ სხვა ფორმას, მიიჩნევს ჟენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლის სერიოზული დარღვევად;

ECCC[42]-ის წესდების მე-9 მუხლი ჩამოთვლის ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს, როგორც ეს განსაზღვრულია 1998 წლის რომის სტატუტში;

ICC[43]-ის რომის წესდების მე- 7(1)(g) მუხლი ასახელებს გაუპატიურებას, სექსუალურ მონობას, იძულებით პროსტიტუციას, იძულებით ორსულობას, იძულებით სტერილიზაციას ან მსგავსი სიმძიმის სექსობრივი ძალადობის ნებისმიერ სხვა ფორმას, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს; მე- 8(2)(b)(xxii) მუხლი გაუპატიურებას, სექსუალურ მონობას, იძულებით პროსტიტუციას, იძულებით ორსულობას, იძულებით სტერილიზაციას ან მსგავსი სიმძიმის სქესობრივი ძალადობის სხვა ფორმას, მიიჩნევს როგორც საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში მოქმედი კანონებისა და წეს-ჩვეულებების სერიოზულ დარღვევას; მე-8(e)(vi) მუხლში ჩამოთვლილი გაუპატიურება, სექსუალური დამონება, პროსტიტუციის იძულება, იძულებითი ორსულობა, ძალადობით სტერილიზაცია ან სქესობრივი ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმა, მიიჩნევა ჟენევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლის სერიოზულ დარღვევად.[44]

ძალიან ხშირად ზიანის ანაზღაურების არარსებობის შემთხვევებს ამართლებდნენ ორი მიზეზით. პირველი იყო ფიზიკური მოძალადეების იდენტიფიცირების შეუძლებლობა. მეორე მიზეზად კი სახელდებოდა მოძალადეებისთვის ბრალის წაყენების შეუძლებლობა. როგორიცაა დანაშაულებრივი ადგილიდან გეოგრაფიულად მოშორებული პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ როგორც პოლიტიკური ლიდერები ან სამხედრო მეთაურები. თუმცა, დღეს არსებობს სისხლის სამართლის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ორი ფორმა: პირდაპირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და არაპირდაპირი პასუხისმგებლობა, რომელიც ხსნის აღნიშნულ დილემას.[45]

2.3. ადამიანის უფლებათა სამართალი

1992 წელს, CEDAW-ის გენერალურმა №19 რეკომენდაციამ აღიარა, რომ გენდერული ძალადობა წარმოადგენს დარღვევას. CEDAW კონვენცია მოითხოვს „ჰუმანიტარული

[42] Extraordinary Chambers of the Courts of Cambodia
[43] International Criminal Court
[44] Sellers P. V., *The Prosecution of Sexual Violence in conflict: The Importance of Human Rights as Means of Interpretation*, OHCHR, 2008, გვ. 12
[45] იქვე., გვ.14

სამართლის გამოყენების თანაბარ გავრცელებას საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქალებისა და მამაკაცების მიმართ".[46]

1995 წლის პეკინის სამოქმედო პლატფორმა[47] ასევე შეეხო ქალებისა და გოგოების მდგომარეობას შეიარაღებულ კონფლიქტში. პლატფორმამ აღნიშნა, რომ პლატფორმა გენოციდს, ეთნიკურ წმენდას და გაუპატიურებას ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევად მოიხსენიებდა და მიუთითებდა, რომ შეიარაღებული კონფლიქტისა და სამხედრო ოკუპაციის პირობებში, ადამიანის უფლებების მსგავსი, უხეში დარღვევები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის და ჰუმანიტარული სამართლის ფუნდამენტური პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებებად მიიჩნეოდა.[48]

2000 წელს უშიშროების საბჭოს რეზოლუციამ 1325[49] ქალთა მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ, კიდევ ერთხელ დაადასტურა პეკინის დეკლარაციის დებულებები და აღიარა საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლის იმპლემენტაციის აუცილებლობა, რადგან სწორედ აღნიშნული სფეროები უზრუნველყოფს ქალების და გოგოების უფლებების დაცვას კონფლიქტის დროს და მის შემდეგ. რეზოლუციამ მოუწოდა შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მხარეს „მიიღოს სპეციალური ზომები ქალებისა და გოგოების დასაცავად გენდერული ძალადობისგან, განსაკუთრებით გაუპატიურებისა და სქესობრივი ძალადობის სხვა ფორმებისგან".[50]

2003 წლისთვის, აფრიკაში ქალთა უფლებების შესახებ აფრიკული ქარტიის პროტოკოლის 1(j) მუხლი ითვალისწინებდა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ნიშნავდა ქალთა მიმართ განხორციელებულ ყველა ქმედებას, რომელიც იწვევდა ან შეიძლებოდა გამოეწვია ქალებისთვის ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ზიანი. პროტოკოლის დეფინიცია მოიცავდა ზემოთხსენებული ქმედებების განხორციელების მუქარასაც.[51]

გარდა ამისა, 2006 წლის გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში 61/143, ხაზგასმულია, რომ სახელმწიფოები აღმოფხვრიან გენდერულ ძალადობას, რათა

[46] CEDAW Recommendation No. 19, პარ. 7(c)
[47] Beijing Declaration and Platform for Action, Fourth World Conference, 15 September 1995, UN Doc. A/Conf.177/20 (1995), Section E, Women and Armed Conflict, პარ. 132-137
[48] იქვე., პარ. 132
[49] Security Council Resolution, S/RES/1325, 31 October 2000 (SC Res. 1325)
[50] Security Council Resolution, S/RES/1325, 31 October 2000 (SC Res. 1325)
[51] African Woman's Protocol Article 1

უზრუნველყონ „ქალებისა და გოგოების შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევებში“ დაცვა.[52]

2008 წლის 19 ივნისს უშიშროების საბჭომ აღიარა ის ფაქტი, რომ სექსუალური ძალადობა, საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემაა და ერთხმად მიიღო რეზოლუცია 1820. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ქალები და გოგოები ხშირად არიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი. რეზოლუციაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამგვარმა ძალადობამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაამწვავოს კონფლიქტები და შეაფერხოს სამშვიდობო პროცესები. ტექსტი ადასტურებს საბჭოს მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს ნაბიჯები სისტემატური სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ.

რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას, საინტერესოა რამდენიმე საქმის გამოყოფა. საქმეში *X & Y v. Netherlands*[53] ECHR-მა დაადგინა, რომ გაუპატიურება არღვევს „ადამიანის ფიზიკურ და მორალურ მთლიანობას.“ საქმეში *Aydín v. Turkey*[54], ECHR-მა გაუპატიურება მიიჩნია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევად.

2.4. სამართლებრივი გამოწვევები

მიუხედავად, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და სისხლის სამართლის განვითარებით მიღწეული პროგრესისა, მრავალი საკითხი დღესაც სადაოდ რჩება. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, გაუპატიურების დანაშაული დომინირებს საერთაშორისო სამართლის ასპარეზზე არსებული სხვა გენდერული დანაშაულების საზიანოდ.[55] მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა.[56]

ამ მხრივ მნიშვნელოვანია საერთაშორისო პრაქტიკაც. *The Prosecutor v. Jean-Paul Akayesu-ს* (შემდგომში *Akayesu*-ს)[57] საქმეში, გაუპატიურება მიჩნეულ იქნა, როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული და გენოციდის შემადგენელი

[52] GA Resolution 61/438, პარ. 3
[53] X&Y v. Netherlands, Application no. 8978/80, Judgement, 26 March, 1985
[54] 23178/94, Judgment, 25 September, [GC], 1997
[55] Gardam J., Jarvis M., *Women, armed conflict and international law*, The Hague Kluwer Law International, The Haague, 2001, გვ. 12-30
[56] Noworojee B., *Your Justice is too Slow: Will the ICTR Fail Rwanda's Rape Victim?,* Occasional Paper 10, Untied Nations Research Institute for Social Development, Geneva, UNRISD, ISBN 92-9085-063-9, 2005, გვ. 18-19, ხელმისაწვდომია: www.unrisd.org/publication/opgp10, ბოლოს ნანახია: 17/12/2022
[57] The Prosecutor v. Jean-Paul Akayesu, ICTR-96-4-A, Judgement, 1 June 2011

ნაწილი.[58] ის, რაც სქესობრივი ხასიათის დანაშაულებს მუდმივად განასხვავებდა IHL-ის და საერთაშორისო დანაშაულებებისგან და შესაძლოა მუდმივად არღვევდა „გაუპატიურების“ სამართლებრივ ინტერპრეტაციას, იყო გაუპატიურების სამართლებრივი ელემენტების გარშემო არსებული მუდმივი დაძაბულობა. კონკრეტულად, დავა არსებობდა „მსხვერპლის თანხმობის არარსებობის“ ელემენტის და მისი განმარტების შესახებ.

Akayesu-ს საქმე რომელიც დაფუძნებულია, *inter alia*, სექსუალური ძალადობის მტკიცებულებებზე, გამოირჩეოდა ახალი, ინოვაციური მიდგომით სამართლებრივი განმარტების საკითხთან დაკავშირებით. საქმეში წარმოდგენილი იყო გაუპატიურების სამართლებრივი ელემენტების პირველი განმარტება. გაუპატიურების ელემენტები იყო „სექსუალური ხასიათის ფიზიკური შეჭრა ადამიანის მიმართ იძულებითი გარემოებების პირობებში“.[59] გაუპატიურების „ტრადიციული შიდასამართლებრივი“ ელემენტებისგან განსხვავებით, *Akayesu*-ს გადაწყვეტილება თავს იკავებს ყოველგვარი წინაპირობის განხილვისგან, რომლის მიხედვითაც მსხვერპლმა ფიზიკურად ან სიტყვიერად უნდა აცნობოს მოძალადეს მისი უარის შესახებ. ამიტომ, მოსამართლეები არ შევიდნენ თანხმობის საკითხთან დაკავშირებულ ხანგრძლივ დისკუსიებში, იმის გათვალისწინებით, რომ ლოკაციები, სადაც მოხდა გაუპატიურება, მიუთითებდნენ იძულებით გარემოებებზე. აკაიესუს გაუპატიურების ელემენტები არ გასაჩივრებულა, შესაბამისად, ICTR-ის სააპელაციო პალატამ *in obiter dicta* დაამტკიცა ელემენტები.[60]

1998 წლის დეკემბერში, *Akayesu*-ს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანიდან ოთხი თვის შემდეგ, ICTY-ის სასამართლო პალატამ *Prosecutor v. Anto Furundzija*-ს (შემდგომში: *Furundzija*-ს)[61] გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ გაუპატიურების ელემენტები იყო: (i) სქესობრივი შეღწევა; (ii) იძულება ან ძალის გამოყენება ან ძალის გამოყენების მუქარა მსხვერპლის ან მესამე პირის მიმართ. გაუპატიურების ელემენტები, *Akayesu*-ს განმარტებისგან ორი ასპექტით განსხვავდებოდა. ფიზიკური შეღწევა მსხვერპლის ორგანიზმში და მესამე პირების ელემენტი. თუმცა, ორივე განმარტება ერიდებოდა მსხვერპლის უარის, როგორც გაუპატიურების ჩადენის

[58] Prosecutor v. Jean Paul Akayesu, Amended Indictment, ICTR-96-4-1, პარ. 12
[59] Prosecutor v. Jean Paul Akayesu, Amended Indictment, ICTR-96-4-1, პარ. 598
[60] Prosecutor v. Jean-Paul Akayesu, Judgment, Case No. ICTR-96-4-A, 1 June 2001 Judgment
[61] Prosecutor v. Anto Furundzija, Judgment, ICTY, IT-95-17/1-T, 10 Decmber, 1998

წინაპირობის განხილვას. სასამართლო პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ტყვეობის ნებისმიერი ფორმა არღვევს თანხმობას“.[62]

ICTR-ის შემდეგ, *The Prosecutor v. Alfred Musema*-ს (შემდგომში: *Musema-ს)*[63] საქმემ გაიმეორა *Akayesu*-ს საქმეში გაკეთებული გაუპატიურების განმარტება, თუმცა სააპელაციო პალატამ გააუქმა სექსუალური ძალადობის განმარტება მოწმის სანდოობისა და ახალი ფაქტობრივი დასკვნების საფუძველზე. ამგვარად, *Akayesu*-ს ელემენტები ითვლებოდა დადგენილ პრაქტიკად მანამ, სანამ ICTY-ის სამართლმა არ ჩამოაყალიბა განსხვავებული მიდგომა.

Kunarac-ის საქმემ ასევე განსაზღვრა ორი ელემენტი: მსხვერპლის თანხმობა, რომელიც გაიცემა ნებაყოფლობით მსხვერპლის თავისუფალი ნების შედეგად, და დამნაშავის ცოდნა, რომ მსხვერპლთან ფიზიკური კავშირი ხდება თანხმობის გარეშე. ეს განმარტება ზოგჯერ მოიხსენიება როგორც *Furundzija/ The Prosecutor v. Dragoljub Kunarac, Radomir Kovač and Zoran Vuković (*შემდგომში*: Kunarac)*[64] განმარტება, რადგან ის ინარჩუნებს *Furundzija-ს* განმარტების მექანიკურ ელემენტებს, თუმცა ამოღებულია იძულების, ძალისა და ძალის საფრთხის ელემენტები.

SPSC-ის მიერ შემუშავებული გაუპატიურების ელემენტები[65] ICC-ის EoC-ის იდენტურია. მიუხედავად ამისა, *The Prosecutor v. Jose Cardoso-ს* (შემდგომში: *Cardoso)*[66] საქმეში, SPSC-ის მოსამართლეებმა გააკეთეს არაერთგვაროვანი განმარტებები მსხვერპლის თანხმობის არარსებობის საკითხთან დაკავშირებით.[67]

SCSL[68] სასამართლო პალატამ განიხილა ასევე სექსუალური ძალადობის შემთხვევები. თუმცა, მოგვიანებითი შეფასებებით საქმეში დაშვებული იყო რამდენიმე შეცდომა. უპირველეს ყოვლისა, საქმის განმხილველმა მოსამართლეებმა უარყვეს მე-7 პუნქტით წარდგენილი ბრალდებები, რადგან ბრალდებები იყო კუმულატიური და არა ალტერნატიული, შესაბამისად, ბუნდოვანი და ორმაგი. მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ ბრალდება არასრულყოფილი იყო, რადგან ბრალდებულმა ვერ

[62] Prosecutor v. Anto Furundzija, Judgment, ICTY, IT-95-17/1-T, 10 Dec. 1998, პარ. 180
[63] The Prosecutor v. Alfred Musema, ICTR-96-13-T, Judgement, 27 January, 2000
[64] The Prosecutor v. Dragoljub Kunarac, Radomir Kovač and Zoran Vuković, IT-96-23-T & IT-96-23/1-T, Judgement, 22 February, 2001
[65] UNTAET Regulation 2000/25, Section 34
[66] The Prosecutor v. Jose Cardoso, Special Panels for Serious Crimes (District Court of Dili), East Timor, 04c/2001, Judgement, 5 April, 2003
[67] The Prosecutor v. Jose Cardoso, Special Panels for Serious Crimes (District Court of Dili), East Timor, Judgement, 5 April 2003, 04c/2001, 442, 452
[68] სიერა ლეონეს სპეციალური სასამართლო, Special Court for Sierra Leone

გაიგო, რომელი მტკიცებულებები ეხებოდა სექსუალურ მონობას და რომელი მტკიცებულებები გამოდგებოდა სექსუალური ძალადობის ბრალდების სამტკიცებლად.[69] გარდა ამისა, მე-7 პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ბრალდების გაუქმების შედეგად, სასამართლო პალატა ვალდებული იყო გაემართლებინა ბრალდებულები დარჩენილი მე-8 პუნქტით, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისთვის.[70]

მიუხედავად გარკვეული შეცდომებისა, სასამართლო პალატამ გაუპატიურების, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების ელემენტები შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: 1. თანხმობის გარეშე კავშირი, შეღწევა მსხვერპლის ორგანიზმში, რაც არ უნდა უმნიშვნელო იყოს ის; და 2. ამ სექსუალური შეღწევადობის განზრახვა და იმის ცოდნა, რომ ეს ხდება მსხვერპლის თანხმობის გარეშე.[71] AFRC-ის ამ საქმემ შემოიტანა გაუპატიურების მეოთხე განმარტება, რომელიც მიღებულია საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალების მიერ. სასამართლოს პოზიცია თანხმობის არარსებობის შესახებ აშკარად განსხვავდება ICC-ისა და SCSP-ის განმარტებებისგან, თუმცა რეალურად ადასტურებს *Sylvestre Gacumbitsi v. The Prosecutor* (შემდგომში: *Gacumbitsi)*[72]*/Kunarac-ის* პოზიციას, მიუხედავად განსხვავებული ფორმულირებისა. მოსამართლეებმა ასევე განმარტეს, რომ მსხვერპლის თანხმობა უნდა იყოს გაცემული ნებაყოფლობით, მსხვერპლის თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად, არსებული გარემოს კონტექსტში. შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციებში იძულება თითქმის ყოველთვის უდავოა. იძულების ფაქტის დასადასტურებლად არ არის საჭირო მსხვერპლის მუდმივი წინააღმდეგობა და ფიზიკური ძალადობის ან თუნდაც ძალის მუქარის განხორციელება მოძალადის მხრიდან. ამასთანავე, აღინიშნა, რომ 14 წლამდე ასაკის ბავშვებს არ შეუძლიათ ჭეშმარიტი, ნამდვილი თანხმობის გაცემა.[73]

საბოლოოდ, დანაშაულის ელემენტები განიმარტა, როგორც: (1) მოძალადის შეჭრა მსხვერპლის სხეულში, მისი ფიზიკური ავტონომიის ხელყოფა, რამაც გამოიწვია სხეულის ნებისმიერ ნაწილში, თუნდაც უმნიშვნელოდ შეღწევა სხვადასხვა საშუალებებით. (2) შეჭრა განხორციელდა ძალის, ან ძალის გამოყენების მუქარით ან

[69] Sellers P. V., *The Prosecution of Sexual Violence in conflict: The Importance of Human Rights as Means of Interpretation*, OHCHR, 2008, გვ. 24
[70] იქვე., გვ. 25
[71] იქვე., გვ. 25
[72] Sylvestre Gacumbitsi v. The Prosecutor, International Criminal Tribunal for Rwanda (Appeals Chamber), Tanzania, ICTR-2001-64-A, Jadgement, 7 July, 2006
[73] Sellers P. V., *The Prosecution of Sexual Violence in conflict: The Importance of Human Rights as Means of Interpretation*, OHCHR, 2008, გვ. 25

იძულების ისეთი საშუალებებით, როგორიცაა მაგალითად, დაკავება, ფსიქოლოგიური ზეწოლა ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შიში. ასევე, გამოიყო შემთხვევები, როდესაც ძალადობა განხორციელდა იმ პირის მიმართ, რომელსაც არ შეუძლია ვალიდური თანხმობის გაცემა.[74]

ICC-ის განმარტება თავს იკავებს გადამწყვეტი არჩევანის გაკეთებისგან *Akayesu*-სა და *Furundzija*-ს ელემენტებს შორის და ამის ნაცვლად აერთიანებს მათ. თუმცა „ნამდვილი თანხმობის" ელემენტის განმარტება, რომელიც *de novo* არის საერთაშორისო სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ჯერ კიდევ გასარკვევია.

მიუხედავად არსებული განმარტებებისა, კრიტიკას იწვევს გაუპატიურების დანაშაულის არათანმიმდევრული დეფინიცია. საჭიროა პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს: რა გავლენას ახდენს გაუპატიურების სხვადასხვა დეფინიცია მართლმსაჯულებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლებაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მსხვერპლის მხრიდან თანხმობის არარსებობა და დამნაშავის მიერ ამ ფაქტის ცოდნა უნდა დამტკიცდეს? არის თუ არა ICC/SCSP/ECCC ალტერნატიული გარემოებების ელემენტები ან თანხმობის არარსებობა ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტებთან შესაბამისობაში? გაუპატიურების რამდენიმე საერთაშორისო სამართლებრივი დეფინიციის არსებობა იწვევს თუ არა გაუკრვევლობას მსხვერპლში, უშლის თუ არა მას ხელს დაიცვას დარღვეული უფლება და ზღუდავს თუ არა გარკვეული ტიპის სასამართლოების თავისუფლებას? არის თუ არა სიერა ლეონეს სამოქალაქო ომის მსხვერპლი თექვსმეტი წლის გოგონა ნაკლებად დაცული სექსუალური ძალადობისგან, ვიდრე მაგალითად, თექვსმეტი წლის გოგონა, რომლის დამნაშავესაც ICC გაასამართლებს? საჭიროა ყველა ეს საკითხი სათანადოდ იქნას შესწავლილი და გადაწყვტილი. ამასთანავე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძალადობის მსხვერპლ ქალებსა და გოგოებს ჰქონდეთ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის რეალური შესაძლებლობები.

[74] Henckaerts J., Louise D., eds. Customary International Law . Vol. 1, The Rules . Cambridge: Cambridge University Press, 2005, part 1;

3. სპეციფიური გენდერული ნიშნები კონფლიქტამდე, კონფლიქტის დროს და კონფლიქტის შემდგომ

ქალები კვლავ შეადგენენ მსოფლიოს მასშტაბით სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების უმრავლესობას,[75] რაც ნიშნავს, რომ ქალები უფრო მეტად განიცდიან კონფლიქტის ნეგატიურ ეკონომიკურ შედეგებს, მათ უწევთ გაწიონ გაცილებით მეტი ძალისხმევა თავიანთ ოჯახებზე ზრუნვისთვის და პოსტკონფლიქტურ ვითარებაში გადარჩენისთვის.[76] გარდა ამისა, შეიარაღებულ კონფლიქტებში მებრძოლ მამაკაცთა დაღუპვის გამო, მრავალი ოჯახისთვის საარსებო პირობებზე ზრუნვა ქალების მოვალეობაში შედის და მათ განსაკუთრებული წნეხის ქვეშ უწევთ ცხოვრება.[77] გარდა ამისა, მაშინაც კი, თუ კონფლიქტის დროს საჯარო სექტორში დასაქმებული ქალების რაოდენობა აჭარბებს მამაკაცების რაოდენობას, ომის შემდეგ ქალები ხშირად კარგავენ ამ სამუშაოს და ბრუნდებიან კერძო სექტორში ან ასრულებენ დავალებებს, რომლებიც ტრადიციულად ასოცირდება საოჯახო საქმეებთან.[78] ამიტომ, მამაკაცებთან შედარებით, ქალები ბევრად უფრო დაუცველები არიან შეიარაღებული კონფლიქტის უარყოფითი ეკონომიკური შედეგების მიმართ.

ზოგადად, ქალები მშვიდობის პერიოდშიც უფრო ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი, ვიდრე მამაკაცები, ხოლო ძალადობის შემთხვევები კიდევ უფრო ხშირდება კონფლიქტის დროს. შესაბამისად, მათზე კიდევ უფრო მეტად აისახება ომის შედეგები.

გარდა ამისა, განსაკუთრებით ხაზგასასმელია ქალთა უფლებების დაცვის საკითხები ოკუპაციის დროს. ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სადაც კონფლიქტი მძიმე კვალს ტოვებს როგორც მოსახლეობაზე, ისე ინფრასტრუქტურასა და სხვადასხვა ინსტიტუტებზე, ქალთა მიმართ ძალადობის საფრთხე იმატებს. ამასთანავე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა, გაკონტროლება და დარღვევების ფაქტებზე რეაგირება სახელმწიფოსთვის რთულია და ხშირად ვერ ხერხდება.

---

[75] United Nations Department of Economic and Social Affairs (2015). The World's Women 2015. Trends and Statistics, ST/ESA/STAT/SER.K/20, DOI: 10.18356/9789210573719, New York, გვ. 190

[76] Mulinen, Frederic de. Handbook on the Law of War for Armed Forces . Geneva: ICRC, 1989, esp. 82–84

[77] Jaworski E., "Military Necessity and Civilian Immunity: Where Is the Balance?" In International Crime and Punishment, Selected Issues , vol. 2, edited by Sienho Yee, Lanham, MD: University Press of America, 2004, 87–127

[78] CEDAW Committee General recommendation No 30 on women in conflict prevention, conflict and post-conflict situations UN Doc No CEDAW/C/GC/30 (2013)

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქალებს ხშირად ეკარგებათ განათლების მიღების, პოლიტიკურ თუ საჯარო ცხოვრებაში სათანადოდ მონაწილეობის, პროფესიული განვითარების საშუალება[79]. ამასთანავე, მათი უფლებები ხშირად არათუ მატერიალურ დონეზე, არამედ ფორმალურადაც, კანონმდებლობის მიერ[80] არ არის დარეგულირებული და სამხედრო მიზნებით მოცულ საზოგადოებას არ ესმის დაუცველი ქალების ხმა. ამის ნათელი მაგალითია პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქალების მდგომარეობა. მათ წაერთვათ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება[81], ქალი მოსამართლეები გათავისუფლებული იქნენ სამსახურებიდან, აეკრძალათ განათლების სრულფასოვნად მიღების შესაძლებლობაც[82], იმატა ოჯახური ძალადობის შემთხვევებმა[83], რაც ხშირად ქალების გარდაცვალებით ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით დასრულდა.[84]

---

[79] მაგ. პალესტინის ქალთა საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ბოლო პერიოდში ქალების საერთო წილი ადგილობრივ სამუშაო ძალაში 18-დან 15 პროცენტამდე შემცირდა, ასევე, ღაზას ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაატარა პოლიტიკა, რომელიც არღვევს ქალთა უფლებებს და ხელს უწყობს ქალების დაუცველობის გაზრდას. ერთ-ერთი ბოლო შემთხვევის დროს (2021 წლის 14 თებერვალი), უმაღლესმა შარიათის სასამართლოს საბჭომ ღაზაში გამოსცა სასამართლო ცირკულარი, რომელიც არღვევდა ქალთა უფლებას თანასწორობისა და არადისკრიმინაციის შესახებ. კერძოდ, ცირკულაციის მე-4 მუხლი უფლებას აძლევდა მამრობით სქესის მეურვეებს (ანუ ახლო ნათესავს, როგორიცაა მამა, ძმა ან ბაბუა) აეკრძალათ გაუთხოვარი ქალებისთვის მოგზაურობა, თუ მოგზაურობა ჩაითვლება "ზიანის მომტანად" - ეს ბუნდოვანი ტერმინია. International Women's Day: Gaza woman injured in protests calls for perseverance of women all over the world in leading the fight for women's rights, 9 Mar 2021, ხელმისაწვდომია. https://reliefweb.int/report/occupied-palestinian-territory/international-women-s-day-gaza-woman-injured-protests-calls, ბოლოს ნანახია: 17/12/2022

[80] იორდანიის სისხლის სამართლის კოდექსის 308-ე მუხლი ითვალისწინებს მოძალადის წინააღმდეგ სასამართლო პროცესის შეწყვეტას, რომელიც სათანადო საქორწინო კონტრაქტის მიხედვით ქორწინდება მის მსხვერპლზე; 340-ე მუხლი ათავისუფლებს სისხლის სამართლებრივი დევნისგან ან ამცირებს სასჯელს ქმრებისთვის ან სისხლით ნათესავებისთვის, რომლებიც კლავენ ან თავს ესხმიან ქალ ნათესავს „ოჯახის ღირსების" დაცვის ნიშნით; 285-ე და 286-ე მუხლები ადგენს, რომ თუ გოგონას სურს საჩივრის შეტანა, საჩივარი უნდა შეიტანოს მამრობითი სქესის ნათესავმა. ღაზაში, ეგვიპტის სისხლის სამართლის კოდექსი ანალოგიურად ითვალისწინებს სასჯელის შემცირებას მამაკაცებისთვის, რომლებიც კლავენ ცოლებს მრუშობის ბრალდებით, Richter-Devroe S., Gender Equality and Women's Rights In Palestinian territories, Directorate General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs Gender Equality, European Parliament, Brussels, 2011, 8-11

[81] Richter-Devroe S., *Gender Equality and Women's Rights In Palestinian territories*, Directorate General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs Gender Equality, European Parliament, Brussels, 2011, 8-9

[82] Richter-Devroe S., Gender Equality and Women's Rights In Palestinian territories, Directorate General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs Gender Equality, European Parliament, Brussels, 2011, გვ.9

[83] იქვე, გვ. 9-11

[84] მაგ. პალესტინი ოკუპირებულ ტერიტორიებზე "ოჯახის ღირსების" დაცვის მოტივით მოხდა 29 ქალის მკვლელობა, ოჯახური ძალადობის შედეგად დაიღუპა 18 და დაშავდა 44 გოგონა, International

საქართველოს რეალობაში ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მწვავეა ოჯახური ძალადობის შემთხვევები. არსებული მონაცემებით, ადგილი აქვს ქალთა მიმართ სექსუალური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებს[85]. როგორც თავად მოქალაქეები[86] აცხადებენ, ოჯახური ძალადობის ფაქტებზე სათანადო რეაგირება არ ხდება. აფხაზეთში დღეს არ არსებობს ქალთა კრიზისული ცენტრები და თავშესაფრები. პანდემიის პირობებში მათი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა, რადგან დაკეტილი გამშვები პუნქტები მათ გაქცევის საშუალებასაც არ აძლევდა.[87] აფხაზეთში არ არსებობს კანონი, რომელიც ქალს მოძალადისგან დაიცავს.[88] ყოველივე ამას ემატება ადგილობრივ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები.[89]

აფხაზეთის ბავშვთა და ოჯახთა სოციალური დახმარების სამსახურის უფროსის მოადგილის, ალინა ბაზბას თქმით, 2020 წელს თანამშრომლებმა ოჯახში ძალადობის 400-მდე შემთხვევა დააფიქსირეს. ალინა ბაზბა მიიჩნევს, რომ ეს მაჩვენებლები რეალური სურათისგან შორსაა. აფხაზეთში ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა შესახებ ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს. პანდემიის პირობებში კიდევ უფრო შემცირდა მიმართვიანობა. ქალებს ხშირად სახლიდან დარეკვის და ინფორმაციის შეტყობინების საშუალებაც არ აქვთ. რეაგირება კი კიდევ უფრო ნაკლებია. როგორც წინა „ხელისუფლება“ აცხადებდა, აფხაზეთში “ახლა ოჯახში ძალადობის თემაზე კანონის დრო არ არის.“[90]

Women's Day: Gaza woman injured in protests calls for perseverance of women all over the world in leading the fight for women's rights, 9 Mar 2021, იხ. https://reliefweb.int/report/occupied-palestinian-territory/international-women-s-day-gaza-woman-injured-protests-calls, ხელმისაწვდომია: 17/12/2022

[85] *არის თუ არა აფხაზეთში ოჯახური ძალადობა?,* 2017, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=d8Z9zvBHhAY, ბოლოს ნანახია: 17/12/2022

[86] პირადი ონლაინ-ინტერვიუ აფხაზეთში მცხოვრებ ლ.ს.-სთან(ინიციალები უსაფრთხოების დაცვის მიზნით შეცვლილია), 29 ნოემბერი, 2021

[87] კახიშვილი ნ., *როგორ ეხმარებიან და ვერ ეხმარებიან გალში მოძალადე კაცებთან გამოკეტილ ქალებს* – ინტერვიუ უფლებადამცველთან, 27 ივნისი, 2020, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/470204/, ბოლოს ნანახია 17/12/2022

[88] პირადი ონლაინ-ინტერვიუ აფხაზეთში მცხოვრებ ლ.ს.-სთან(ინიციალები უსაფრთხოების დაცვის მიზნით შეცვლილია), 29 ნოემბერი, 2021

[89] ჯანაშია ნ., *ქალთა მიმართ ძალადობის კვლევა ზუგდიდისა და გალის კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაში,* საქართველოს დახმარების ინსტიტუტი, კვლევა განხორციელდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მოსახლეობის, ლტოლვილთა და მიგრაციის ბიუროს მხარდაჭერით "საქართველოს დახმარების კომიტეტის/GEOCOR-ის" პროექტის "ქართველ და აფხაზ ლიდერ ქალთა ინტერაქციის ქსელის ფარგლებში, 2018, 32-46

[90] ქალთა უფლებადამცველების მძიმე ბრძოლა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ აფხაზეთში, 6 აპრილი, 2021, ხელმისაწვდომია: shorturl.at/dkrwC, ბოლოს ნანახია: 17/12/2022

2006 წელს აფხაზეთში გენდერულ თანასწორობაზე კანონი მიიღეს, მაგრამ ამის შესახებ სახელმწიფო სტრუქტურებში არც იციან. ერთადერთი კანონი, რომელიც მუშაობს, აბორტის აკრძალვას ეხება, რამაც როგორც თავად ქალები აცხადებენ მრავალი პრობლემა გამოიწვია[91]. აკრძალვის გამო ქალები ხელოვნურად წყვეტენ ორსულობას, რაც მათი სიცოცხლისთვის საშიშია. ქორწინებაში არმყოფი ქალისთვის დაორსულების სხვა, „ლეგალური" საშუალება გარდა ინვიტრო განაყოფიერებისა, ჯერ კიდევ მიუღებელია".[92]

სექსუალური შევიწროების შესახებ ფაქტების და ცნობების მოძიებაც კი შეუძლებელი აღმოჩნდა, ვინაიდან ეს პრობლემა ტაბუდადებული საკითხია და არც კი განიხილება საზოგადოებაში.[93]ცნობიერების დონე ამ პრობლემის შესახებ დაბალია და ქალებმა არც კი იციან ამ პრობლემის არსი.

4. ქალთა ადამიანის უფლებათა დარღვევები 2008 წლის აგვისტოს ომის დროს

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ადგილი ჰქონდა მშვიდობიანი მოსახლეების წარმომადგენელი ქალების გაუპატიურებას, დაკავების იზოლატორებში არასათანადო მოპყრობას, სხვადასხვა სახის ძალადობას. პირველი შემთხვევა, როდესაც ქალმა მიმართა გაუპატიურების ბრალდებით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს იყოს 2010 წელს. გორის რაიონში მცხოვრებმა ქალმა მხოლოდ 2 წლის შემდგომ გადაწყვიტა, რომ ებრძოლა საკუთარი დარღვეული უფლების დასაცავად. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი საქმეები მრავლად იყო, მსხვერპლები არ თანხმდებობდნენ საჩივრის შეტანაზე. მოგვიანებით, მსგავსი საქმეები დაზარალებულებმა გაასაჩივრეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. გაუპატიურების შემთხვევებში მომჩივნები მიმართვადნენ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის გამო.[94]

---

[91] Kotova *M., Meet the women affected by Abkhazia's abortion ban*, 2017, ხელმისაწვდომია. https://www.opendemocracy.net/en/odr/meet-women-affected-by-abkhazia-s-abortion-ban/, ბოლოს ნანახია: 17/12/2022

[92] კოტოვა მ., *აფხაზეთის იზოლაციამ ქალების პოზიციები შეასუსტა – ერთადერთი ფემინისტი აფხაზეთიდან*, 2018, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/331419/, ბოლოს ნანახია: 17/12/2022

[93] პირადი ონლაინ-ინტერვიუ აფხაზეთში მცხოვრებ ლ.ს.-სთან(ინიციალები უსაფრთხოების დაცვის მიზნით შეცვლილია), 29 ნოემბერი, 2021

[94] ქევანიშვილი ე., ომის დროს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი სტრასბურგში ჩივის, 2010 წლის 8 მარტი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/1977781.html, ბოლოს ნანახია: 17/12/2022

აგვისტოს ომის შედეგად მრავალი ქალი გახდა ძალადობის მსხვერპლი.[95] აღსანიშნავია, რომ ხშირად საომარი მოქმედებების დროს სადაოა იურისდიქციის განხორციელების საკითხები, როგორც ეს იყო 2008 წლის შემთხვევაში. სამწუხაროდ, გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ეს საკითხი სათანადოდ არ განიხილა და ტერმინ „ქაოსის"[96] გამოყენებით, რომელიც ბუნებრივია თან ახლავს ომს, სამომვლოდ აგრესორი სახელმწიფოებისთვის წამახალისებელი განცხადება გააკეთა, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს ეს ჩანაწერი ბოროტად გამოიყენონ და თავიდან აირიდონ პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულებისთვის. თავის მხრივ, ეს იწვევს დაზარალებულებში დაუცველობის და უსამართლობის განცდას. ამიტომ, საჭიროა სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული გარემოებების საფუძველზე შეისწავლოს და შეაფასოს სიტუაცია და სიღრმისეულად იმსჯელოს იურიისდიქციის და პასუხისმგებლობის საკითხებზე.

დასკვნა და რეკომენდაციები

ნაშრომში განხილული იქნა ქალთა უფლებების დაცვის თავისებურებები კონფლიქტამდე, კონფლიქტის დროს და კონფლიქტის შემდგომ პერიოდში. მიუხედავად სამართლებრივი გარანტიების არსებობისა, მათი პრაქტიკული განხორციელება ხშირად პრობლემურია. ამას ადასტურებს უკრაინაში დღეს არსებული სიტუაცია. ქალთა უფლებები უგულებელყოფილია ომის პირობებში და ქალებს არ აქვთ თავის დაცვის სათანადო შესაძლებლობები. როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს №1888 რეზოლუციაშია ნათქვამი, საჭიროა ქალებზე ძალადობის შემთხვევების ანგარიშგების მექანიზმის ეფექტური განხორციელება. ქალებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იქნას დაცვის საშუალებები, რათა თავიდან იქნას აცილებული ძალადობის ყველა ფორმა. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლებას, რათა მოხდეს სათანადო რეაგირება დარღვევის შემთხვევებზე. გარდა ამისა, საჭიროა სამართლებრივი დილემების გადაწყვეტა და იურისდიქციის საკითხებზე უფრო ნათელი განმარტების ჩამოყალიბება.

[95] Mevludi Jioshvili against Russia and 58 other applications, ECHR, Application no. 8090/09, Decision, 19 October 2021

[96] Georgia v. Russia, ICHR, Application no. 38263/08, Judgment, 21 January 2021, პარ. 126, 137

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №820, 1993 წლის 17 აპრილი.
2. ქევანიშვილი ე., ომის დროს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი სტრასბურგში ჩივის, 2010 წლის 8 მარტი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/1977781.html;
3. ჯანაშია ნ., *ქალთა მიმართ ძალადობის კვლევა ზუგდიდისა და გალის კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაში*, საქართველოს დახმარების ინსტიტუტი, კვლევა განხორციელდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მოსახლეობის, ლტოლვილთა და მიგრაციის ბიუროს მხარდაჭერით "საქართველოს დახმარების კომიტეტის/GEOCOR-ის" პროექტის "ქართველ და აფხაზ ლიდერ ქალთა ინტერაქციის ქსელის ფარგლებში, 2018

4. *არის თუ არა აფხაზეთში ოჯახური ძალადობა?,* ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=d8Z9zvBHhAY,
5. პირადი ონლაინ-ინტერვიუ აფხაზეთში მცხოვრებ ლ.ს.-სთან(ინიციალები უსაფრთხოების დაცვის მიზნით შეცვლილია), 29 ნოემბერი, 2021;
6. კახიშვილი ნ., *როგორ ეხმარებიან და ვერ ეხმარებიან გალში მოძალადე კაცებთან გამოკეტილ ქალებს* – ინტერვიუ უფლებადამცველთან, 27 ივნისი, 2020, ხელმისაწვდომია. https://netgazeti.ge/news/470204/;
7. ქალთა უფლებადამცველების მძიმე ბრძოლა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ აფხაზეთში, 6 აპრილი, 2021, ხელმისაწვდომია: shorturl.at/dkrwC;
8. კოტოვა მ., *აფხაზეთის იზოლაციამ ქალების პოზიციები შეასუსტა – ერთადერთი ფემინისტი აფხაზეთიდან*, 2018, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/331419/;
9. პირადი ონლაინ-ინტერვიუ აფხაზეთში მცხოვრებ ლ.ს.-სთან(ინიციალები უსაფრთხოების დაცვის მიზნით შეცვლილია), 29 ნოემბერი, 2021.
10. African Women's Protocol, 2005;
11. Amnesty International, Stop violence against women: Justice for 'comfort women', 2016, April, ხელმისაწვდომია: http://www.amnesty.org.nz/files/Comfort-Women-factsheet.pdf;
12. Beijing Declaration and Platform for Action, Fourth World Conference, 15 September 1995, UN Doc. A/Conf.177/20 (1995), Section E, Women and Armed Conflict;
13. CEDAW Committee General recommendation No 30 on women in conflict prevention, conflict and post-conflict situations UN Doc No CEDAW/C/GC/30, 2013;
14. CEDAW Recommendation No. 19;
15. Child Rights International Network, Timeline of Un Peacekeeper Sexual Abuse Cases, ხელმისაწვდომია: https://www.crin.org/en/home/campaigns/transparency/timeline-un-peacekeeper-sexual-abuse-cases;;
16. Convention Respecting the Laws and Customs of War on Land, and Annex to the Convention, Regulations Respecting the Laws and Customs of War on Land (Hague IV), The Hague, 18 October 1907, 3 Martens (3rd) 461, 36 Stat. 2277, T.S. No. 59 (Hague Convention IV), reprinted in AM. J. Int'l. 90 51908, Supp. (The IV Hague Convention of 1907);
17. Convention Respecting the Laws and Customs of War on Land, and Annex to the Convention, Regulations Respecting the Laws and Customs of War on Land (Hague IV), The Hague, 18 October 1907, 3 Martens (3rd) 461, 36 Stat. 2277, T.S. No. 59

(Hague Convention IV), reprinted in AM. J. Int'l. 90 51908, Supp. (The IV Hague Convention of 1907);

18. International Women's Day: Gaza woman injured in protests calls for perseverance of women all over the world in leading the fight for women's rights, 9 Mar 2021, ხელმისაწვდომია. https://reliefweb.int/report/occupied-palestinian-territory/international-women-s-day-gaza-woman-injured-protests-calls;
19. International Committee of the Red Cross, Aide-memoire, December 1992;
20. Intensification of efforts to eliminate all forms of violence against women, Resolution adopted by the General Assembly, 61/438, 30 January 2007;
21. Final Report of the Special Rapporteur on the Situation of Systematic Rape, Sexual Slavery and Slaverylike Practices During Periods of Armed Conflict, 50 UN ESCOR, UN Doc. E/CN./4/Sub.2/1998/13 (1998);
22. Final Report of the Special Rapporteur on the Situation of Systematic Rape, Sexual Slavery and Slavery-like Practices During Periods of Armed Conflict, 52 UN ESCOR, UN Doc. E/CN.4/Sub.2/2000/21/(2000);
23. General Order 100, Instructions for the Government of the Armies of the United States by the Field by Order of the Secretary of War, 24 April 1863 ("the Lieber Code");
24. 1929 Geneva Convention Relating to Prisoners of War;
25. Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and Relating to the Protection of Victims of International Armed Conflict, done 8 June 1977, 1125 U.N.T.S. 3, entered into force 7 December 1978 (Additional Protocol I), reprinted in 16 I.L.M.1391 (1977);
26. Protocol Additional to the Geneva Conventions of 12 August 1949, and Relating to the Protection of Victims of Non-International Armed Conflicts, done 8 June 1977, 1125 U.N.T.S. 609, entered into force 7 December 1978 (Additional Protocol II), reprinted in 16 I.L.M.182 (1977);
27. Special Rapporteur on Violence Against Women, its Causes and Consequences, 54 UN ESCOR, UN Doc. E/CN.4/1998/54/(1998).
28. UNTAET Regulation 2000/25, United Nations Transitional Administration in East Timor, 3 August 2000;
29. Security Council Resolution, S/RES/1325, 31 October 2000 (SC Res. 1325);
30. United Nations Department of Economic and Social Affairs (2015). The World's Women 2015. Trends and Statistics, ST/ESA/STAT/SER.K/20, DOI: 10.18356/9789210573719, New York.

31. Alawemo O., Muterera J., *The impact of armed conflict On women: Perspectives from Nigerian women,* OIDA International Journal of Sustainable Development, 2 (5), 2010;
32. Brownmiller S., *Against Our Will: Men, Women and Rape*, 1975; T. Meron, 'Shakespear's Henry the Fifth and the Law of War', 86 Am. J. Int'l L. 1 (1992); See also, Treaty of Amity and Commerce, US-Prussia, 10 Sept. 1785, reprinted in 2 Treaties, Conventions, Acts, Protocols and Agreements between the United States and other Powers, 1776-1909, Malloy Collections, 1910;
33. Draper G.I.A.D., *The Historical perspective of the status of women in the armed forces* , Military Law & Law of War Review, 26, 1987;
34. Dworkin A., "Military Necessity and Due Process: The Place of Human Rights in the War on Terror." In *New Wars, New Laws?* , edited by David Wippman and Matthew Evangelista, Ardsley, NY: Transnational, 2004;
35. Gardam J, *Women and the law of armed conflicts: Why the silence?,* International & Comparative. Law Quarterly, 46, 1997;
36. Gardam J., Jarvis M., *Women, armed conflict and international law*, The Hague Kluwer Law International, The Haague, 2001;
37. Henckaerts J., Louise D., eds. Customary International Law . Vol. 1, The Rules . Cambridge: Cambridge University Press, 2005, part 1;
38. Jaworski E., "Military Necessity and Civilian Immunity: Where Is the Balance?" In *International Crime and Punishment, Selected Issues* , vol. 2, edited by Sienho Yee, Lanham, MD: University Press of America, 2004;
39. Kotova *M., Meet the women affected by Abkhazia's abortion ban*, 2017, ხელმისაწვდომია. https://www.opendemocracy.net/en/odr/meet-women-affected-by-abkhazia-s-abortion-ban/, ბოლოს ნანახია: 17/12/2022;
40. Moodrick-Even Khen H., Hagay-Frey A., *Silence at the Nuremberg Trials: The International military tribunal at Nuremberg and sexual crimes against women in the Holocaust,* Women's Rights Law Reporter Vol. 35, Fall 2013;
41. Mulinen, Frederic de. *Handbook on the Law of War for Armed Forces* . Geneva: ICRC, 1989, esp. 82–84;
42. Noworojee B., *Your Justice is too Slow: Will the ICTR Fail Rwanda's Rape Victim?,* Occasional Paper 10, Untied Nations Research Institute for Social Development, Geneva, UNRISD, ISBN 92-9085-063-9, 2005, ხელმისაწვდომია: www.unrisd.org/publication/opgp10;

43. Olwine B. A., *One step forward, but two steps back: Why Gacaca In Rwanda Is Jeopardizing*, The Good Effect of Akayesu On Women's Rights, William and Mary Journal of Race, Gender, and Social Justice, Volume 17 (2010-2011), Issue 3 William and Mary Journal of Women and Law, 2011;
44. Rajivan A.K., R. Senarathne, *Women in armed conflicts: Inclusion and exclusion*, Asia-Pacific Human Development Report Background Papers Series 2010/11, UNDP;
45. Sellers P. V., *The Prosecution of Sexual Violence in conflict: The Importance of Human Rights as Means of Interpretation*, OHCHR, 2008;
46. Seyler M, *Rape in conflict: Battling the impunity that stifles its recognition As A Jus Cogens human right*, 15 Gonz J. Int'l L, 1, 2011-2012, გვ. 66-86; Amnesty International, Stop violence against women: Justice for 'comfort women', 2016, April, ხელმისაწვდომია: http://www.amnesty.org.nz/files/Comfort-Women-factsheet.pdf;
47. Wood E.J., Rape is not inevitable in war Yale Journal of International Affairs, Understanding and Proving International Sex Crimes, Torkel Opsahl Academic Epublisher, Oslo, 2012;
48. Shubert A., Naik B*., ISIS soldiers told to rape women 'to make them Muslim'*, CNN Report, 2015, October 8, ხელმისაწვდომია: http://edition.cnn.com/2015/10/08/middleeast/isis-rape-theology-soldiers-rape-women-to-make-them-muslim;
49. Rosenberg M., *Citing Atrocities, John Kerry Calls Isis Actions Genocide*, The New York Times, 2016, March 17, ხელმისაწვდომია: http://www.nytimes.com/2016/03/18/world/middleeast/citing-atrocities-john-kerry-calls-isis-actions-genocide.html?_r=0;
50. Richter-Devroe S., *Gender Equality and Women's Rights In Palestinian territories*, Directorate General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs Gender Equality, European Parliament, Brussels, 2011.
51. X and Y v. Netherlands, ECHR, Application no. 8978/80, 26 March 1985;
52. Case of Aydin v. Turkey, EHRR, Application no. 57/1996/676/866, 25 September 1997;
53. Prosecutor v. Anto Furundzija, Judgment, ICTY, IT-95-17/1-T, 10 December 1998;
54. The Prosecutor v. Jose Cardoso, Special Panels for Serious Crimes (District Court of Dili), East Timor, Judgement, 5 April 2003, 04c/2001;
55. Prosecutor v. Jean-Paul Akayesu, Judgment, Case No. ICTR-96-4-A, 1 June 2001;
56. The Prosecutor v. Alfred Musema, ICTR-96-13-T, Judgement, 27 January, 2000;

57. The Prosecutor v. Dragoljub Kunarac, Radomir Kovač and Zoran Vuković, IT-96-23-T & IT-96-23/1-T, Judgement, 22 February, 2001;
58. Sylvestre Gacumbitsi v. The Prosecutor, International Criminal Tribunal for Rwanda (Appeals Chamber), Tanzania, ICTR-2001-64-A, Jadgement, 7 July, 2006;
59. Georgia v. Russia, ICHR, Application no. 38263/08, Judgment, 21 January 2020;
60. Mevludi Jioshvili against Russia and 58 other applications, ECHR, Application no. 8090/09, Decision, 19 October 2021.